

საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს 3.1.6.7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1.6.7 მესამე პირის მიერ **ანგარიშ(ებ)ზე** თანხის შეცდომით ჩარიცხვის/შეტანის შემთხვევაში: ა) **კლიენტსა** და შესაბამის მესამე პირს შორის დავის მოგვარებამდე დაბლოკის აღნიშნული თანხა; ან/და ბ) ჩამოჭრას შეცდომით ჩარიცხული თანხა **ანგარიშ(ებ)იდან** და დაუბრუნოს შესაბამის მესამე პირს.“

საბანკო მომსახურების პირობების 10.4, 10.4.1 და 10.4.2 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10.4 **ზანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით (ან/და **ზანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით) თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, **კლიენტის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები (მათ შორის, ნებისმიერი საბანკო პროდუქტის პირობები, საკომისიოს მოცულობა და სხვ.). ამგვარი ცვლილება სავალდებულოა **კლიენტისთვის** მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო **საბანკო დღიდან**, თუ **ზანკის** მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამასთან, აღნიშნული ცვლილებები შესაძლებელია შეეხოს, როგორც პირთა გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ **პირს**.